სამშობლო

ხუთშაბათი,
31 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ[illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების უა-ბეჭდვა თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 323 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 323

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

მწუხარებისა შინა მეთუნი ძმ. ანტონ და ალექსანდრე გრიგოლის ძენი ახვლედიანები, რძლები: ფატი დარასპანის ასული და ელენე მაქსიმეს ასული ახვლედიანისა, დისწული მღ. პლატონ სუჯაშვილი მეუღლით მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ პირველნი საყვარელი დისა, მეორენი დაუვიწყარი მეუღლისა და მესამენი ძვირფასი დედისა ნაკურთხი მონოზონის

ელისაბედ გრიგოლ ახვლედიანის ასულის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზედ ხუთშაბათს, 31 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. გამოსვენება მოხდება ანტონ და ალექსანდრე ახვლედიანების ბინიდან (პოლიციის ქუჩაზე, სახლი გვეტაძისა). პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. კერძო ბარათები არ დაიგზავნება

141 2—2

შაბათს, 2 აპრილს, ქალ. ქუთაისში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ნადეჟდა დიმიტრის ასულის კანდელაკისას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები: ლიუდმილა დიმიტრის ასული ოსიტოვისა და სოფიო დიმიტრის ასული საბახტარაშვილისა მეუღლეებითურთ წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე

117 1—1

---

29 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ პეტრე ფირალაშვილის ასული მაისუროვისა.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მეუღლე მისი ინჟინერი ვასილ ალექსანდრეს ძე მაისუროვი, ვაჟი მიხეილ, დები: ეფემია პეტრეს ასული კოკოჩაშვილისა და ქვრივი ნატალია პეტრეს ასული მეფისაშვილისა; სიძე ზაქარია პეტრეს ძე კოკოჩაშვილი; დედამთილი ვერონიკე ლუკას ასული მაისუროვისა; ბიძაშვილები ვერონიკე იოსების ასული კალატოზოვისა და ანასტასია იოსების ასული ფირალიშვილისა.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, გაგარინის ქუჩა. გამოსვენება პარასკევს 1 აპრილს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე ამავე დღეს.

118 1—1

ბურახი (კვასი) „ესპერანტო“

ადუღებული წყალით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თბილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზ.-ნის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანიებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება. ბურახი შეინახეთ ცივათ, გასძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ ბურახი ტკბილი და შუშხუნაა— შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაგრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით განსხვავდება ნახოთ, მოსთხოვეთ მიმტანს პასუხი, რადგან ჩვენ იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახს (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა

12—10 **გამგეობა.**

ექიმი **ი. ჩარეძოვი** ქალაქ. საავად მყოფის ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—9 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. თ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

14

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

30, 31 მარტს და 1 აპრილს ნაჩვენები იქნება:

დაღუპვის პირას

ძლიერი დრამა კოპენჰაგენის სამეფო თეატრის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით ეს დრამა გვიხატავს ბრწყინვალე სიყვარულს მშვენიერ ქალისას, რომელიც შეურაცხყო დონ-ჟუანმა.

იერიში და არზრუმის აღება.

ორ დიდ განყოფილებით. გადაღებულია ბუნებიდან სკობელევის კომიტეტისაგან დაწვრილებით აფიშებში.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

30, 31 და 1 აპრილს, 1916 წ. ნაჩვენები იქნება:

იერიში და არზრუმის აღება.

2 ნაწილად სურათი გადაღებულია იერიშის და არზრუმის დამხობის დროს სკობოლევის კომიტეტის მიერ.

შეურაცხყოფილი სიყვარული და დაღუპვის პირას.

ძლიერი დრამა სამ ნაწილად.

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა თანახმად წესდების მე-13 მუხლისა, აცნობებს ბ. ბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია შაბათს, 2 აპრილს 1916 წ. საღამოს $7^1/_2$ საათზე თეატრის დარბაზში. კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს არა ნაკლებ $^1/_4$ ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, თანახმად წესდების 14 მუხლისა მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად გამოცხადებული წევრების რაოდენობისა, შესდგება 6 აპრილს.

განსახილველია:

1. მოხსენება გამგეობის წლიური მოქმედების შესახებ. 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. 1915—16 წლ. წლიური ანგარიში. 4 1916—17 წლ. ხარჯთ აღრიცხვა 5 ქართველ მსახიობთა ამხანაგობის 1915—16 წლ სეზონის ანგარიში. 6. გამგეობის მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ. 7. გამგეობის მოხსენება კულტურულ საზოგადოებათა კავშირში ჩაწერის შესახებ. 8. საკითხი 1916—17 წლ. ზამთრის სეზონის შესახებ. 9. არჩევნები:—გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრებისა და 3 რწმუნებულის კულტურულ საზოგ კავშირის კრებებზე დასასწრებლად. საწევრო გადასახადი თანახმად წესდებისა —3 მანეთია წევრად ჩაწერა შეიძლება მხოლოდ 2 აპრილს საღამოს 7 საათამდი. წევრთა ჩაწერა შეიძლება დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 3—1

ყველასაგან ცნობილი საუკეთესო

აბრეშუმის თესლი

ძმ. პასხალიდებისა

მიღებულია განსაზღვრული რაოდენობით. თესლი შემოწმებულია და ბეჭედ დასმული ოსმალურსა და ფრანგულ ენებზე წარწერით: **ხ. ხრისტოდულიდისა.** ვისაც სურს შეიძინოს, მიმართონ: ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე სასტუმრო ერმიტაჟში.

115 4—321—1

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, თერთქიფანიძის სახლი, თ 3

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

11

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავათმყოფებს ნაშუადღევს 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქიხოსრო ჯაფარიძისა.

10

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკეიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ვეთალი. **პ. მ. ნეურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3

113 1—თვით.

იყიდება

ნოქალაქევში (სენაკის მაზრა), აბანოს ქუჩაზე, კიმოთე ცანავას მამულში მიხეილ ჩირგაძესთან იყიდება შეშით დამწვარი საუკეთესო ღირსების **კირი**, ფასები სრულიად ზომიერი და ხელმისაწვდომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი არზრუმის აღმოსავლეთითაც განაგრძობს ოსმალთა შევიწროვებას: აქ მან ახალი ტერიტორია დაიკავა. სხვაგან ამ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე. წყალდიდობისა და უგზოობის გამო ბრძოლამ ჯერ კიდევ ფრთები ვერ გაშალა. გერმანელები რიგის რაიონში ეს რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს იკსკიულკის სიმაგრეებს, რომლებიც რიგის კარებათ უნდა ჩაითვალოს; მაგრამ ამ სიმაგრეს ჯერ კიდევ ვერაფერი დააკლეს. დვინსკისა და დვინსკის სამხრეთის რაიონებში ტბების გარშემო ორივე მხარე საარტილერიო ბრძოლას განაგრძობდა. სხვაგან საყურადღებო ამ ფრონტზედაც არაფერი მომხდარა.

საფრანგეთ ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ინგლისის ჯარები სენტლუას სიმაგრეების უკან დაბრუნებას შეეცადნენ, მაგრამ ვერას გახდნენ: სხვაგან გარდა ვერდენისა ცვლილება არ მომხდარა; **ვერდენთან** მორტომის სიმაგრეების დასაპყრობათ გერმანელებმა კოროოს ტყიდან სასტიკი იერიში ისევ მიიტანეს და ამ ხანათ, როგორც ოფიციალური დეპეშაც აღიარებს მათმა მარცხენა ფრთამ (აღმოსავლეთით) სიმაგრეეების და სანგრების ერთი ნაწილის დაკავება შესძლო მეორე ნაწილიდან ფრანგების გამოდევნა გერმანელებმა ცეცხლის მფრქვეველ იარაღების საშუალებით სცადეს: ისროდნენ შადრევანისებურ სითხეს, რაც მტერს ცეცხლს აფრქვევდა თავზე რა შედეგი მოყვა ამას ამაზე არაფერს გვაცნობებენ. ყოველ შემთხვევაში აშკარაა ის, რომ ვერდენის კარები მარტომის სიმაგრეები ახლა ნახევრათ მაინც გერმანელების ხელშია. გერმანელებმა ლეომონ-ვის სიმაგრეებზეც მიიტანეს იერიშები და რამდენიმეთ აქაც წინ წამოვიდნენ. ვევრთან საარტილერიო ბრძოლას განაგრძობენ.

მესოპოტამიაში ინგლისის ჯარის ცდა, რომ ოსმალთა ბრძოლის ხაზი ტიგრის ნაპირებზე სადმე გაერღვია, უნაყოფოთ დასრულდა სხვა ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი

დვინის ფრონტის ზოგიერთ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. იკსკიულის ხაზზე გერმანელებს შემოტევა უნდოდათ, მაგრამ უკუვაგდეთ. დვინის რაიონში და მის აღმოსავლეთით ორივე მხრის არტილერია მარჯვეთ მოქმედებდა, დანარჩენ ადგილებში აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი.

მერიდიანის დასავლეთით არზრუმის მიმართულებით ჩვენი ჯარი განაგრძობს წინსვლას და მტრის ტერიტორიის დაკავებას.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მე-4-ე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჰოლანდიაში.

ჰოლანდიის დედა-ქალაქში დიდი მიტინგი გამართეს, სადაც გერმანიაში საქონლის გადატანის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს ამავე მიტინგზე სოციალისტები და ანარქისტები მთავრობის საყოველთაო გაფიცვით დაემუქრნენ, თუ იგი გაბედავს და მეომართა ერთ-ერთ კოალიციის მხარეზე დადგება და ომს გამოუცხადებს.

გერმანიის სამხედრო ბიუჯეტის გამო

ს. დ. მთავარ ორგანოს „ფორვერტს“ გერმანიის სამხედრო ბიუჯეტის განხილვის გამო გერმანელ ს. დ. დეპუტატების სიტყვები მოჰყავს. ორატორები თავის სიტყვებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის ხალხი ისევ ნაკლებათ საზრდოობს და ამას დასასრული არ უჩანს. დეპუტატმა კარლოს ლიბკნეხტმა აღნიშნა, რომ გერმანიის სამხედრო მთავრობა სამხედრო ტყვეებს უდიერათ და უსამართლოდ ეპყრობა, რაც ორატორის აზრით გერმანიისთვის დიდათ სამარცხვინოა. სამარცხვინოა ის, რომ მთავრობა ტყვეებს იძულებით ამუშავებს მათივე ქვეყნის საწინააღმდეგოთ.

ბალკანეთში.

გერმანელებს დიდძალი სამხედრო იარაღი მიაქვთ სერბიის გზით: სჩანს სალონიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ ემზადებიან. —ოსმალეთის სამხედრო მთავრობამ დანიის ბოსფორში ხომალდების კონფისკაცია მოახდინა.

„რუსეთის ჯარი ტრაპიზონთან“.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ „ვეჩერნეე ვრემიას“ სწერენ: რუსეთის ჯარები ქალაქ სიურმენეს მიუახლოვდნენ; ეს ქალაქი ტრაპიზონზე სულ 28 ვერსით არის დაშორებული. როგორც ჯარების მსვლელობა მოქმედებას ეტყობა ტრაპიზონის დაცემა ამ მოკლე დროში აუცილებელია.

სამხედრო ტყვეთა შორის.

იმის გამო, რომ ტყვეების გაქცევა ამ ბოლო დროს ძლიან გახშირდა, განსაკუთრებით რუსეთის ფრონტიდან, სადაც რუს ტყვეებს მიწას ათხრევინებენ და სანგრებს აკეთებინებენ, გერმანიის მთავრობამ მათ გამოუცხადა, რომ საფრანგეთის ფრონტზე გადაიყვანებენ; მათ ალაგას ფრანგებსა და ბელგიელთ ამუშავებენ; მაგრამ საქმე ისაა, რომ ფრანგები და ბელგიელები ფრონტზე მუშაობას არ კისრულობენ ნებით. ამ გარემოებამ გერმანიის მთავრობა საგონებელში ჩააგდო და ახლა არ იცის რა ჰქნას. მით უფრო, რომ ამ კითხვის გამო ზოგ ალაგას ტყვეების დიდი არეულობა დაიწყო, რის გამოც სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენით რამდენიმე კაცი კიდეც დახვრიტეს

ქრონიკა

რუსეთი.

მაქსიმე კოვალევსკის დაკრძალვა.

მაქსიმე კოვალევსკის გასვენების პროცესიამ დიდებული სანახაობა მიიღო. როგორც მოსკოვიდან იუწყებიან დაკრძალვა გრანდიოზული ხასიათისა იყო. აუარებელი მოსწავლე ახალგაზდობის მონაწილეობა პროცესიას განსაკუთრებულ ელფერსა სდებდა. პროფესორმა გრიმმა საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: კოვალევსკი არ არჩევდა არც ელლინს და არც ებრაელს; მისი იდეალი რუსეთის ყველა ეროვნებათა განთავისუფლება იყო. ცნობილმა ორატორმა როდიჩევმა სთქვა: ჩვენ ვდგევართ თავისუფლებისათვის მეომრის საფლავის წინაშე, სადაც შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ და გვრწამდეს, რომ შორს არაა ის ჟამი, როცა მნათობი თავისუფლებისა მაღლე აღმობრწყინდება და ამ წმინდა სამარეს თავის ბრწყინვალე სხივებით გააშუქებს.

გრაფი ბობრინსკი

როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან გრაფ ბობრინსკის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ დანიშვნამ პოლიტიკური წრეები დიდათ აახმაურა. ბობრინსკის ამ პოსტზე დანიშვნას შტიურმერის ინიციატივას აწერენ; ამასთან უმაღლეს სფეროებშიაც მას დიდი გავლენა აქვს. ამბობენ რომ გრაფ ბობრინსკის ჩვეულებრივ წესის გარეშე უქვეშევრდომილეს მოხსენების უფლება მიენიჭა: მთელი რიგი საყურადღებო პოლიტიკური კითხვებისა მის კომპეტენციაში გადადის, განსაკუთრებით ყველა ის კითხვები, რომლებსაც სახელმწიფო სათათბიროსთან აქვს კავშირი. გრაფმა ბობრინსკიმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ის მემარჯვენეა, მაგრამ არა რეაქციონერი (?). იგი მემარჯვენეების უკიდურესობას წინააღმდეგ რამდენჯერმე კიდეც გამოვიდა.

სოც. რევოლუციონერების დასჯა.

ამას წინათ მკითხველებს ვაუწყებდით, რომ მთავრობამ სამართალში მისცა ცნობილი სოც რევოლუციონერებიო. მიაკოტინი, ბრამსონი, გიზეტტი და სხვები. ზოგი მათგანი თავდებით გამოუშვეს ციხიდან და ახლა სასამართლოს წესით სულ გაანთავისუფლეს, ხოლო ზემოხსენებული პირები სასტიკათ დასაჯეს.

მიაკოტინს გზავნიან ირკუტსკის გუბერნიაში (ციმბირში) სამი წლით, ბრამსონს ხუთი წლით, ხოლო გიზეტტის— ორი წლით

მისაბაძი მაგალითი

ირკუტსკიდან შემდეგ საყურადღებო ამბავს იუწყებიან: ტროიცკო სავსკის ქალაქის საბჭომ სპეკულიაციის წინააღმდეგ არა ჩვეულებრივი ნაბიჯი გადადგა. მთელ ქალაქში ყველგან აფიშა გააკრა, რომლითაც იგი „მოქალაქეთ მოუწოდებს, რომ ვიღაც ვტოროვის „ამხანაგობის ფირმის მაღაზიებს ბოიკოტი გამოუცხადონ, რადგანაც ამ მაღაზიებში საქონლის ფასი ასი და ხუთასი პროცენტით გაადიდეს, ე. ი. მანეთიან საქონელს ხუთ მანეთათ ჰყიდიან.

პასუხი.

როგორც მკითხველმა იცის სამხედრო სამრეწველო კომიტეტების მეორე საზოგადო ყრილობამ დაადგინა, რომ „დაცვის საგანგებო თათბირს“ ეთხოვოს მუშებსა და ალებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტის თავიდან ასაშორებლათ იშუამდგომლოს, რათა რუსეთში „მომრიგებელი კამერები“ იქნას დაარსებული. ამაზე სამხედრო სამრეწველო კომიტეტების ცენტრალურმა ბიურომ საგანგებო თათბირისაგან შემდეგი პასუხი მიიღო:

განიხილა რა საგანგებო თათბირმა სამხ. სამრეწვ. კომ. მეორე ყრილობის რეზოლუციები ,,მომრიგებელ კამერების“ დაარსებისა და მრეწველობის მობილიზაციის შესახებ კანონპროექტის გაყვანისა საჭიროთ დაინახა განაცხადოს, რომ ზემოხსენებული რეზოლუციების გატარება საგანგებო თათბირის კომპეტენციაში არ შედის. და აისი უფლებით არ განხორციელდება; ეს სულ სხვა უწყების საქმეა და არა ჩვენიო.

ეს მეორე უწყება დაწესებულება კი დღემდე სდუმს და გვგონია არც შემდეგშიც ამოიღებს ხმას.

მემარჯვენე ნაციონალისტების ლიდერი.

პოდოლის გუბერნიის [illegible] დეპუტატი ბალაშოვი, [illegible] ნაციონალისტების კავშირის თავმჯდომარეა მას პოდოლის გუბერნიაში ომის წინ ცოტა ადრე დიდი ტყე 1,400,000 მან. შეუძენია და ახლა ამ ომის დროს ამ თვალსაჩინო ,,პატრიოტმა“ თავისი მამულით შემდეგ ნაირათ ისარგებლა.

როგორც გზათა სამინისტროსგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს ბალაშოვი სამხრეთ-დასავლეთით რკინის-გზათა სამმართველოს პირობით შეეკრა, რომ სისატყიდან ის შეიძენს თვითეულ ხეს 4 მ. 50 კ. რკინის გზას სჭირდება სულ 600,000 ხე.

ამნაირათ დღემდე ბალაშოვის ტყიდან სულ 2,700,000 მ. აუღია. თითოეულ ძირ ხეს იგი ომამდე თითო მანეთად ჰყიდიდა. ახლა კი 4 მ. 50 კ. ჰყიდის.

მამულის წინაშე თავდადება და უანგარობაც ასეთი უნდა.

დამარცხებულთა ლათაიები.

I.

გაიცინეთ, ჩაიცინეთ, სახაცილონო,
ჩაიცინეთ, გაიცინეთ, სახაცილონო!
(ფუტურისტული ლექსი).

დიაღ! „ფარდა ჩამოეშვა და კომედიის უკანასკნელი აქტი დასრულდა“! ამ კომედიის გმირები ეგრედ წოდებული ფედერალისტები ისეთს სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ იმათ ადგილზე სხვა უფრო, ასე ვსთქვათ, ფაქიზი გულისთქმის ადამიანი სირცხვილით დაიწვოდა და ბაქიაობას კი არ მოჰყვებოდა, არამედ დაუკვირდებოდა თავის თავს და მეორე დღეს ხმას ველარ ამოიღებდა, მაგრამ ეგრედ წოდებული ფედერალისტები რის ფედერალისტები იქნებიან, რომ კომედია ფარსად არ გადაექციათ და თავის ტრაგიკულ ყოფნის წუთები ლათაიებით არ „გაექარწყლებინათ“.

ვინც კი სახალხო უნივერსიტეტის 27 მარტის არჩევანს დაესწრო, ის დაგვეთანხმება, რომ ფედერალისტებს არავითარი პარტია არა ჰქონიათ. ჯარი მათი შესდგებოდა ეტლებით მოზიდულ უცაბედ და იმ დღეს კენჭისთვის ჩაწერილ მანდილოსან-მოსამსახურის მოსამსახურისა და პირისფარეშის პირისფარეშისგან

პირადად ჩვენ დავითვალეთ მხოლოდ 16—17 ნამდვილი ეგრედწოდებული ფედერალისტი, დანარჩენი ამ 16—17 კაცის ნათესავ-მეგობარ-მოხელე მოსამ-სახურე-ხელქვეითი იყვნენ

ერთი კი ნათლად დამტკიცდა, რომ ეგრედწოდებული ნამდვილი ფედერალისტე

სწავლის წყურვილი.

(მოთხრობა)

I.

ილიკო გულაძე სრულიადაც არ მოხიბლა გორში ჩამოსვლამ. ის ამ ორ წელიწადში ორჯერ ჩამოსულიყო იმერეთიდან და თითო კვირა გაეთია ამ ქალაქში. პირველ ჩამოსვლაზე ილიკოს ძლიერ მოეწონა ეს მხარე, თითქმის კიდეც შეუყვარდა, აქ დარჩენის ტკბილმა იმედმა გულში გაურბინა, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა და გულ დაწყვეტილი ყმაწვილი თავის მხარეშივე დაბრუნდა. მეორე შემოდგომაზე ილიკო ახალი იმედებით ეწვია გორს, მაგრამ რომ იტყვიან—კაცს ბედი არ დაჰყოლიაო—სწორედ მას მოუვიდა ილიკოს ოცნება ოცნებათ დარჩა, იმედის ცხოველი ცეცხლი გულში ჩაუქრა. ამ ორმა შემთხვევამ-კი ყმაწვილის ნორჩ გულზე შესაფერი გავლენა იქონია, თავისი დაღი დაასვა. ილიკომ მაინც გული არ გაიტეხა და მესამედაც ეწვია გორს. უიმედობამ დროებით მიატოვა ილიკო და იმედის ჩახვეულმა ცეცხლმა ცოტათი გული გაუთბო საბრალო ყმაწვილს.

— ახლა კი დავრჩები აქ - ფიქრობდა ილიკო, მატარებლიდან გადმოსვლისას, როცა გორის ქუჩებზე მიდიოდა —ეს მესამეთ ჩამოვედი და როგორ იქნება, რომ არ მიმიღონ... არა... არა! მე შემიბრალებენ, რომ შეხედვენ ჩემს ძლიერ სურვილს და არ მეტყვიან უარს გული ისე მითქვამს, რომ მიმიღებენ. რა ნეტარება იქნება, როცა ტანისამოსს მომცემენ, და ამ ჩემს დაგლეჯილ ტანისამოსს გამოვიცვლი!... როგორ გაეხარდება დედა ჩემს, როცა გაიგებს, რომ მე სახელმწიფო ხარჯზე მიმიღეს სასწავლებელში!.. მაშინ სახლში მყოფებსაც შევუყვარდები, ისე აღარ დამიწყებენ სხვა თვალით ყურებას, როგორც აქამდის მიყურებდნენ, პატივისცემით მომეპყრობიან!... რომ არ მიმიღონ კი! მაშინ რაღა ვქნა?... მაგრამ არა, რა სულელი ვარ, რომ ამაზე ვფიქრობ: ყველა ჩემსკენ და ჩემს მიღებაზე ლაპარაკობს, ასე გასინჯეთ, ბუნებაც კი აი, ის მზე, როგორ წითლად მიადგა ამ მთებს და ღამით გაციებული კალთები გაუთბო? . სახლში ჩემს ბიცოლას, რამდენჯერაც კი ვაკითხვინებდი ხოლმე, იმდენჯერ ჩემი მიღება ამოდიოდა. მართალია, მე ძალიან არა მჯერა მკითხავებისა, მაგრამ ის კი სწორედ დასაჯერებელია, რომ სულყოველთვის კაი სამკითხავო, რაღაცას კარგს ნიშნავს! მაგრამ ამაზე კიდევ უფრო ის მაჯერებს და იმედს მაძლევს, რომ, როცა სახლიდან მოვდიოდი, გზაზე ტელეგრაფის მავთულს ავხედე მაღლა; ამნაირ ფიქრებში გართული ვიყავი და უცებ ვიფიქრე! აი ამ მავთულს თუ ქვას მოვახვედრებ ერთ სროლაზე, სწორეთ მიმიღებენ მეთქი. მართლაც ავიღე ქვა და ერთ მოქნევაზე მავთულმა წკარა წკური დაიწყო... ეს კი შეიძლება ალალბედზე მომხდარიყო, მაგრამ სხვა დროს არ მომიხვედრებია ალალბედზე და რაღა ახლა მოვახვედრებდი, როცა ამისთანა კაი რასმე ვფიქრობდი?... არა ნამდვილი ნიშნებია! ღმერთო, რა კარგი ფეხით წამოვედი სახლიდან! თუ ბოლოც ამნაირი მექნა, რა კარგი იქნება! ჩემზე ბედნიერი კაცი ვინ იქნება მაშინ ქვეყანაზე?... რა მშვენიერება არის ქალაქში ცხოვრება! თბილი სახლი.. გარეთ გამოსვლა არ გჭირდება სამუშაოთ და არაფერი... მე გეტყვი, ქალამანში წყალი შეგივა: დაჯექი თბილ ბუხართან და ისწავლე გაკვეთილები! „ღმერთო, კეთილი ჰქენი ჩემი ფიქრები! . . შეულოცა ილიკომ თავის ბედს, როდესაც წამოწეულ ეტლის გრიალმა გამოიყვანა იგი ტკბილი ოცნებიდან.

II.

ილიკო ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, მაგრამ მის დაღვრემილ სახეს ეტყობოდა, რომ ბევრი ვაი-ვაგლახი გამოეცადა თავის სიცოცხლეში. რაც კი ჭკუა მისცემია, ჯავრი და მწუხარება არ მოშორებია, სოფლის სკოლაში ყოფნის დროსაც არ ჰღირსებია სიხარული: ხან წიგნების ფული არ ჰქონდა, ხან რვეულებისა, ხან ქალამნები გაუცვდებოდა და ხან ხალათი. ზაფხულში კიდევ რამნაირად შეიძლებოდა წვიმიან დღეში სკოლაში წასვლა: ილიკო მოსძებნიდა სადმე ძველ ძროხავარდნილ წუღებს, ამოიდებდა იღლიაში და მუხლებამდის დაკაპიწებული მოუსვამდა სკოლისკენ. სკოლას რომ მიუახლოვდებოდა, პატარა მდინარეში ფეხებს ჩაიბანდა და შემდეგ თავის ჩუსტებში ფრთხილად ფეხებს ჩასდგამდა და ცერებ გამოყოფილი მივიდოდა სკოლაში ზამთარში-კი ფეხშიშველა სიარული ორი სამი ვერსის მანძილზე შეუძლებელი იყო და ილიკოც, როცა ქალამნები გაუცვდებოდა, სახლში რჩებოდა და თავისი წუწუნით დედ მამას აწუხებდა. მშობლებიც სწუხდნენ ბავშვის დარჩენაზე და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ დაეკმაყოფილებიათ ბავშის სურვილი, რომ გაკვეთილს არ დაკლებოდა. ილიკოც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავს არ იზოგავდა და სულყოველთვის კარგ მოწაფეთა რიცხვში ითვლებოდა. იმას გასაოცრად შეუყვარდა სწავლა და სოფლის სკოლაში ყოფნის დროსვე გადასწყვიტა როგორმე ნასწავლი კაცი გამოსულიყო

ჩვენმა მასწავლებელმა რომ იცის, იმდენს რომ ვისწავლიდე, რა კარგი იქნება! მაგრამ იმდენი რაფრათ უნდა ვისწავლო? იმან ხომ ყველაფერი იცის!—ფიქრობდა ილიკო. შეიძლება ხელმწიფემ იცოდეს იმაზე მეტი; ასე ამბობენ, რომ ხელმწიფეს ოცდა ოთხი კლასი აქვს გათავებულიო' ოცდა ოთხი კლასი რაფრათ გაათავა? აქ ჩვენ ორი კლასის გათავების ხუთ წელიწადს ვუნდებით, თუ კარგად ვისწავლეთ, თუ არა და ზოგიერთი შვიდსაც ვერ გაათავებს, მაგრამ მე მგონია, რომ ვისწავლი! ყველა მიქებს გულის ყურს, ამბობენ, რომ მაგის ნიჭის პატრონი კაი კაცი უნდი გამოვიდესო! იქნება, მართალია, გამოვიდე ნასწავლი... მაშინ არც მღვდლობას დამიკავებენ და არც მასწავლებლობას, მაგრამ, ნწუ! მღვდლობა რათ მინდა! ძუძგი უნდა დამიძახონ და ყველა უნდა მემდუროდეს. მასწავლებლობა კი ყველაფერს სჯობია: კაი ჯამაგირი, ფული სულ ჩეჩქივით აქვს, კოხტად ჩაცმა და თბილი ოთახი, უფასოდ სახლი და შეშა! მერე წიგნები რამდენიც გინდა, იმდენი იკითხე! არა, მასწავლებლობას ვისწავლი' ის ყველას სჯობია სწავლით კი ვისწავლი, მაგრამ სწავლას, მგონია, ფული უნდა! ფული სად უნდა ვიშოვნოთ? მამაჩემი თავს არ დაიზოგავს, მაგრამ რომ არაფერი გვაქვს, რა უნდა გავყიდოთ?“...

ასე ჰფიქრობდა თორმეტ ცამეტი წლის ბიჭი და იმის ოცნება შორს, შორს, მიფრინავდა, ბრწყინვალე გუმბათიან ქალაქში, სადაც ილიკო კოხტად გამოწყობილი, წიგნებით ხელში გაივლის ქუჩებზე და ყველას ყურადღებას მიიქცევს თავისი ნიჭითა და მეცადინეობით.

როცა ილიკო თხუთმეტი წლის შეიქნა, იმან გაათავა სოფლის სკოლა და მოწმობა მიიღო. იმ ზაფხულში ემზადებოდა მასწავლებელთან სემინარიაშ ეგზამენის მისაცემად, სადაც ის სახელმწიფო ხარჯზე ფიქრობდა შესვლას, და თან საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა დედ მამას. მიიწურა მარიობის თვე და ილიკო გამოაწყვეს გორში წასასვლელად. ილიკოს მამას ფული თავად არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა ღვინო გადაერჩინა, ის გაყიდა და აღებული ფულით თავის შვილს გაჰყვა გორში.

— თუ მიგიღეს, შვილო, კაი იქნება, თუ არა და, მადლობა ღმერთს! ეუბნებოდა მამა და თან ათასნაირ აზრს ჰქსოვდა თავის ოცნებაში.

მაგრამ გაუცრუვდა კეთილ-გონიერ მამას თავისი იმედები და ის დაღონებული თავის შვილიანათ სახლში დაბრუნდა. მამამ სულ დაანება შვილის სწავლებაზე ფიქრს თავი და მოსთხოვა შვილს, რომ გულმოდგინეთ დაეწყო მუშაობა. ილიკომ ტირილითა და ხვეწნით იმდენათ შეაბრალა თავი დედ-მამას, რომ მას მისცეს ნება თავისუფალ დროს მეცადინეობა განეგრძო და კვლავ ეშინჯა ეგზამენზე წასვლა. მოსძებნა ილიკომ სხვა და სხვა ძველი წიგნები, ზოგი აჩუქეს, ზოგი ათხოვეს და მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეუდგა მზადებას სემინარიისათვის. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, არც მეორეთ გაუღიმა ბედმა ილიკოს. იმან მაინც არ დაიხია უკან და დიდი დავიდარაბისა და ჩხუბის შემდეგ ილიკო მარიობისთვის მიწურულში რამოდენიმე მანეთით ჯიბეში გაუდგა გზას მესამეთ, უკანასკნელად და თავისი ბედის საცდელათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო ხრიკვეისტრები ყოფილან, ისე ს კრების თავჯდომარე, იმდენი ვაჩისტაცეს ხელიდან, რომ კენჭის როისათვის ყველა თავისი მახლო მოყვანა მოასწრეს.

ვევმა ხომ, რომლებიც ტაშის ელებათ მოეყვანათ და თეატრის ზე შეესხათ, თავისის ხმაურობით ცენა წაილეს!

ნ უნდა დასწრებოდით ამ კრებას, ,,მეგობრის'' გუშინდელ ნუმერში ლი წერილები ორჩოფეხებზე შემ- ცას ბოდვად მოგეჩვენოსთ.

ჯერ-ჯერობით არსებითად არ ით ამ წერილებს, და მოვიცდით, ვან, იმედი გვაქვს, რომ კიდევ ამე დაფქვავენ ჩვენი ეგრედწოდე- ფედერალისტები და მერე ისეთ გამოვუცხობთ, რომ სულ ენა მოი ნ ამ პურის ჭამის დროს

ლის კი ერთხელ კიდევ მოვახსე- ოგან მოწონებულ ფუტურისტების :

ინეთ, ჩაიცინეთ, სასაცილონო,
ინეთ გაიცინეთ, სასაცილონო!

თანი.

ხალი ამბავი.

ქუთაისი.

ასის საზვგრო სამმართველო ამ მთავრებს ჯარის კაცთა იმ ოჯა- ების შედგენას, რომელსაც დახ- ნდა მიეცეთ ვნების კვირაში ჯახებს მიეცემათ დღეში 5 შაური

პ. დ. ს.

3 მოკლე ხანში ქ. პეტროგრადში ლი იქნება საგანგებო თათბირი, მელიც დაესწრებიან: სასულიერო ს წარმომადგენელნი იუსტიციის როს რწმუნებული და სხვანი. ამ ზე გარჩეულ იქნება 16 საათობი ანონპროექტი მართლ-მადიდებლი- ლიკობაზე გადასვლის შესახებ.

თაისის ქალაქის გამგეობის წევ ბერნატორმა გუდოვიჩმა დაამტ- ინერი ვასილ არდიშვილი.

აბათს, 2 აპრილს, ქართულ თე მოხდება დრამატიული საზოგადო- ვრთა საზოგადო კრება. ამ კრე- არჩევია კულტურულ კავშირში ნათ 3 წარმომადგენელი, გამგეო- სარევიზიო კომისიის წევრების ა სხვა.

რამატიულ საზ. გამგეობამ 29 სხდომაზე დაადგინა მიეცეს, მო საზოგადო წევრთა კრებაზე მონა- ის, უფლება მხოლოდ იმ წევრთ, შემოტანილი აქვთ საწევრო ფული ეთი ამავე კრებაზე საზ მოსამსახურეს გუცა ფარქოსაძეს მოუმატეს 20 მანეთი თვიურ ჯამაგირზე. (!)

✦ ქართულ გიმნაზიაში მე 8 და 6 კლასში გამოცდებზე დასასწრებლათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლათ დაინიშნა შარშანდელი დეპუტატი ბ-ნი ზახაროვი მე 8 კლ წერითი გამოცდა რუსულ ენაში მოხდება 4 აპრილს, ხოლო მე 6 კლ. გამოცდები დაიწყება ნაადდგომევს

✦ ქუთაისის ვიცე გუბერნატორი პოლკოვნიკი ვენცელი ამ დღეებში მიემგზავრება არზრუმს.

✦ ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს იანვრისა და თებერვლის რიცხვებში ქონია შემოსავალი 4277 მ. და 5 შ. გასავალი 4257 მ. და 11 შ.

✦ მეფის მოადგილემ ქუთაისის ქალთა წრის თავჯდომარის ტრესკინისას ნება დართო პირველ აპრილს ქალაქ ქუთაისში შეაგროვოს ყულაბებით ფული თბილისში არსებულ სანივთო საწყობის საშუალებათა გასაძლიერებლათ. ფულის შეგროვების დროს გაიყიდება არზრუმის სანახაობის 5 პატარა ცინკოგრაფიული სურათები.

✦ შორაპნის სამაზრო სამმართველოს საქმის მწარმოებელი ლოლობერიძე დაინიშნა ჭიათურის სამადნო ბოქაულის თანაშემწეთ

✦ ქუთაისის მეორე პირველ დაწყებითი სამოქალაქო სასწავლებლის გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას მიეცეს მას სასწავლებლის სხვადასხვა საჭიროებისათვის ექვსი თუმანი.

✦ რაჭის მაზრის უფროსის განკარგულებით, ს. გლოლარა და მამისონის ულელტეხილს შუა შესდგა მგზავრთა მიმოსვლა, ვიდრე ხოლერით ავადმყოფობა იქნება 16—24 მარტამდი ხოლერით ავად გახ და 26 მორჩა 7, მოკვდა 14; ავად არის 5 კაცი 30 მარტს ხოლერით მხოლოდ ერთი გახდა ავად.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ექ შენგელია, რომელიც ამას წინათ გაემგზავრა ს. გლოლას ხოლერის გავრცელების მიზეზის გამოსარკვევათ, გუშინ უკვე დაბრუნდა ქუთაისს.

✦ ადგილობრივი სამხედრო ლაზარეთის უფროსი ექიმი სთხოვს ქალაქის გამგეობას დააჩქაროს ლაზარეთის მოსამსახურე ფერშლებისათვის ბინის ქირის მიცემა

✦ ქუთაისის სასურსათო სამხედრო კომიტეტმა, თანახმად თხოვნისა, შეატყობინა ცენტრალურ სამხედრო კომიტეტს, რომ მას არ შეუძლია რაიმე შეკვეთილების მიღება, შესრულება და ანგარიშების მიცემა, ვიდრე ხაზინა არ გადასდებს ამისათვის საჭირო თანხას.

თანახმად საგუბერნიო სამმართველოს საექიმო ნაწილის განყოფილების თხოვნისა, ქალაქის გამგეობამ შეატყობინა, რომ ქალაქის სანიტარულ ექიმათ არის კ ი აშიანცი, გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მართველათ კი ექიმი ჩარექოვი.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ჩიქოვანმა ოქმი შეუდგინა ფერმის ქუჩაზე მეფურნეს იაკობ ქრ. ტოპოლოვს პურის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის.

დაჯარიმება. ქუთაისის გუბერნატორმა დააჯარიმა იარაღის ნება დაურთველად ტარებისათვის ს. ნაგვარმევის (სენ. მაზ) მცხოვრები ლიპარტი გვაზავა ს. აბასთუმანის (ზუგ მაზ.) იპოლიტე თოდუა სამი თვის დატუსაღებით ალექსანდრე კუპრაშვილი 25 მანეთით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ქ. ქუთაისის ვაჭარი დავით ხანანაშვილი 5 მანეთით დ ზესტაფონის ღვინის ვაჭარი ირაკლი გურული, გრიგოლ არსენიძე და მელიტონ გურული. 10—10 მანეთით.

მოწყენილი ამბავი.

ს. კიცხი (ზემო იმერეთი) წასულ კვირაში ს. კიცხში არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. აქაური წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ, პეტრე სიმონის ძემ მაჭავარიანმა, რევოლვერით თავი მოიკლა.

თავის მოკვლის მიზეზი შემდეგია:

ორი დღის წინათ ამ კატასტროფისა, განსვენებულმა ოთხი ათასი მანეთი მოიტანა დაბა ზესტაფონიდან წევრებისათვის დასარიგებლად. რადგანაც მოტანის დღესვე ფულების სესხად გაცემა შეუძლებელი იყო, განსვენებულმა აღნიშნული ფულები, ამხანაგობის კასაში შეინახა საუბედუროდ, ფულების დარიგების დღეს ბ-ნ მაჭავარიანს, შენახული ფულები კასაში აღარ დახვდა გასაკვირალი ის არის, რომ არც კასა და არც ის ოთახი სადაც კასა არის მოთავსებული სრულიად დაზიანებული არ არის.

წინასწარმა გამოძიებამ დამნაშავე ვერ აღმოაჩინა. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მეტად წყნარსა და უზომო პატიოსან ადამიანზე, ვეღარ აიტანა ოხერი წუთისოფლის გაუტანლობა და დაუნდობლობა, დიდებული შოთას სიტყვები „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ სისრულეში მოიყვანა და თავი მოიკლა. მისი სიკვდილით ლოსიანთხევის კუთხემ საზოგადოთ და კერძოთ კიცხის კოოპერატივმა დაკარგა მეტად პატიოსანი შრომის მოყვარე და უანგარო მუშაკი.

განსვენებული დროის შესაფერი განვითარებული და განათლებული ადამიანი იყო, ყოველ კულტურულ დაწესებულებაში გულმხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. უყვარდა ჩვენი ხალხის კეთილდღეობა დ ეროვნული ავტონომიის მომხრე იყო. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი

მ. ბუაჩიძე.

კიდევ აჭარლებზე.

აკაკი ჩხენკელი სათათბიროს ტრიბუნიდან კვლავ შეეხო აჭარლებს.

დეპუტატმა სრულის სიმართლით და გაბედულობით აღნიშნა, თუ როგორ შეუწყვეს ხელი კალობრიოზის მტრებმა აჭარელთა აწიოკებას, აყრას ვორონცოვის ხანაში და მათ მამულ დედულს როგორის ხალისით და მადა გახსნილი უჭვრეტდენ სომხის კაპიტალისტები...

აკაკი ჩხენკელმა აშკარად დაგმო მდიდარ სომხების მიერ აჭარელთა მამულების შეძენა რომელიც ყოველ კაცთ მოყვარე ადამიანებში პროტესტს იწვევს და მთავრობას მოსთხოვა აჭარელთა დასაბრუნებლად აუცილებელი ზომების მიღება და სათანადო დახმარების აღმოჩენა.

დეპუტატის ასეთმა სამართლიანმა გამოსარჩლებამ ბედკრულ აჭარელებისადმი ,,ლიბერალი'' კრუპენსკი დიდათ ალაშფოთა. ამის უბადრუკთა ყურებს ჯერ კიდევ არ სმენიათ თურმე, რომ კავკასიის აწინდელმა მეფის ნაცვალმა აჭარელთა მიმართ მიუდგომელი გასამართლება მოახდინა და მათ მოღალატეობის სახელი თავიდან ააშორა.

კრუპენსკი სათათბიროში უსირცხვილოდ იმეორებს, რომ აჭარლები სახელმწიფოს წინაშე მოღალატენი არიან და არავითარ შებრალება-დახმარების ღირსნი არ უნდა იყვნენ.

ამას ხედავს იგი იმ საბრალო ჩუმ ხალხში, რომელთაც მსგავსი არაფერი ჩაუდენიათ.

კრუპენსკი კრინტს ვერა სძრავს რუსეთის სხვა ნამდვილ მტერთა წინააღმდეგ, ალბად, იქ მედგარ თავდამცველობის ეშინია და ამ რიგათ თავის სიძულვილს ქართველ ერის წინაშე ანთხევს.

პოლონელებს ლიტველებს ან კავკასიაში მოსახლე სხვა ერთ, რატომ არ დასდებს კრუპენსკი ბრალს მოღალატეობისას, მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, ის აქ შიშობს, ჯეროვანი პასუხი არ მოსთხოვონო.

ჰოჲ, ბ-ნო რუსეთის ცრუ „ლიბერალო“, თქვენ თუ გულწრფელი ხართ და რუსეთი გწამსთ, კარგად გახსოვდეთ საქართველოს შვილთა უამრავი მსხვერპლი ამ რუსეთის საკეთილდღეოდ განწირული, და თუ მას მადლობას არ სძლვენით შხამიან სიტყვებითა და სახელის გატეხით მაინც ნუღარ უმასპინძლდებით, მაგრამ თქვენ ისეთი პირი ბრძანდებით რომელიც ხალხისთვის დიდათ სასარგებლო უბრალო კოოპერაციულ მოძრაობაშიც კი რევოლუციასა და სოციალიზმს ხედავთ და ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს თქვენგან!

ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა, თქვენ ასეთ სა'არცხვინო გამოსვლას არასოდეს არ გაპატიებსთ.

ბედნიერია ის ერი, რომელსაც თქვენისთანა მოღვაწე ,,პატრიოტი'' ჰყავს!

ი. დ—ძე.

სომეხთა შორის.

— პარიზში გუშინ წინ სორბონის უნივერსიტეტში სომხების სასარგებლოდ დიდი მანიფესტაცია გაიმართა. ორატორებათ გამოვიდენ: საფრანგეთის პარლამენტის პრეზიდენტი დეშანელი, ანატოლ ფრანსი და მინისტრები ორატორებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ოსმალეთში გამართულ სომხების ჟლეტას გერმანელები მეთაურობდენ, ხოლო თათრები მხოლოთ აღმასრულებლები იყვნენ მათი ბრძანებისა. სომხების გოდება—ვაებაზე და მოწოდებაზე ხმა გასცეს რუსეთის და საფრანგეთის ზარბაზნებმა: პირველისამ არზრუმის სიმაგრეებთან, ხოლო მეორესამ ვერდენთან. ამ სახით სომეხთა განთავისუფლების ჟამი მოახლოვებულია.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 მარტს მინისტრთა საბჭოს ოსმალეთის სომხების შესახებ შემდეგი წინადადება წარუდგინა განსახილველათ: სამინისტროს აზრით საჭიროა იმ ადგილების სომეხთა დასახმარებლათ, რომლებიც რუსეთის ჯარს ამჟამათ ოსმალეთში უჭერია, სომხებს სესხათ 300,000 მან. მიეცესთ.

— გადმოხვეწილ სომხების დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. გუკასოვმა პეტროგრადიდან ტელეგრაფით სომხების დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს 43,000 მან. გადმოუგზავნა, რომ მან ამ ფულით ოსმალეთიდან გადმოხვეწილ ობოლ ბავშვებისათვის (1000-მდე ბავშვისთვის) თავ შესაფარი მოაწყოს.

მევენახეთა საგულისხმოთ.

თავადმა ისონ ჩიქოვანმა ჩვენს რედაქციას მოაწოდა ეს ცნობა, რომელიც მას დ. სოჩში ერთ ფრანგ მემამულესგან გადმოუწერია. ფრანგი მემამულე, ამ ცნობის მიხედვით სწამლობს თურმე თავის ვაზს მივაქცევთ ჩვენ მევენახეთა თუ აგრონომთა ყურადღებას ამ საშუალების გამოსაკვლევად, თუ რამდენად შესაფერი იქნება ის ჩვენი ქვეყნის ვენახებისთვის.

აიღეთ ახლად გამომწვარი კირის $3^1/_4$ გირვანქა და ჩაყარეთ ქვაბში სადაც უნდა სდუღდეს წყალი არა უმეტეს $37^1/_4$ გირ როცა კირი დაიწყებს დაშლას, ან როცა კირი დაიშლება, მაშინ, ცხრილს საშუალებით, წყალში ჩაუშვით $6^1/_4$ გირ. გოგირდი. კარგათ უნდა ურიო, და ხარშოთ 30 წამის (минута) განმავლობაში. შემდეგ ხარშვისა, გააცივეთ და ფრთხილათ გადაასხით ბოთლში ან სხვა ჭურჭელში, მხოლოდ ბოჭკებში კი არა.

ამ წამლის ხმარება შეიძლება შემდეგი სახით: ვიდრე ვაზს ფოთოლი გამოუვიდოდეს ერთ ვედრო წყალში აურიოთ 4 გირი მოხარშული კირისა და გოგირდის სითხე და ისე შეასხურეთ; ხოლო როცა ვაზს ფოთოლი გამოუვა, მაშინ ერთ ვედრო წყალში უნდა გაიხსნას 1—2 გირვანქამდი მიღებული სითხე კირისა და გოგირდის ერთად ხარშვის დროს. ვაზის წამლობა შეიძლება იმდენჯერ, როგორც ეს შაბიამნის წამლობის დროს ხდება ხოლმე და მეტჯერაც.

შიოს დღესასწაული.

(შთაბეჭდილებანი)

ჩვენ გუშინ მოკლედ გვქონდა აწერილი ძია შიოს „დილა“ ეხლა კი გვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ქუთ. საბალოსნო სკოლის მოწაფის ქართველ მაჰმადიანის ოსმან ფალავას მისალმებას და აგრეთვე ქართული გიმნაზიის ორ ქართველ მაჰმადიან მოწაფეთა მიმართვას ძია შიოსადმი.

მისი გულწრფელი სიტყვებიდან ნათლად გამოკრთოდა ის ნათესაური კავშირი ჩვენდამი და სულიერი განწყობილება რაც ამ ბოლო ხანებში განმტკიცდა ჩვენსა და ქართველ მაჰმადიანთა შორის, და რაც აუცილებლად თავდებია ჩვენი განახლებისა, მათთან შეკავშირებისა და საუკეთესო მომავლის შექმნისა.

ოსმან ფალავას შიოსადმი მიმართვამ დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმან ფალავა სულიერად განიცდიდა ეროვნულ დღესასწაულს და სავსებით უერთდებოდა თანამოძმეთი ძია შიოსადმი სიყვარულით გამოწვეულ აღფრთოვანებას.

მთელი საზოგადოება ტაშის ცემით და ნათესაურის განცდით მიეგება ახალგაზდა ჩვენს სულიერ ძმას ქართველ მაჰმადიანს. აგრეთვე ფრიად საყურადღებოა ქართულ გიმნაზიაში, მოწაფე ორ ქართველ მაჰმადიანთა (ცივაძე—მისალმება. ვერ წარმოიდგენთ რაოდენი სიცოცხლე და სიძლიერე გამოკრთოდა მათი თვალებიდან. თქვენ დარწმუნდებოდით, რომ ესენი იყვნენ შვილნი იმ საქართველოს ერთი კუთხისა, რომელიც ერთ დროს, საქართველოს მთლიან სხეულს ამშვენებდა. თქვენ იფიქრებდით, რომ, დროთა ცვლის უკუღმართობას იმდენათ ვერ უმოქმედნია ჩვენს თანამოძმე ქართველებზე, რომ სრულიად ჩამქრალიყო მათში, ეროვნული სული,—სული ძლიერი, რომელიც რამოდენიმე ასეული წლის წინად აკავშირებდა და აერთებდა მთელს საქართველოს. ქართველი დედის ცრემ-

---

III

კვირა გავიდა, რაც ილიკო გორ- ლა ეგზამენი ჩააბარა და ხვალ დებენ, ვინ არის მიღებული. გულის ფანცქალით ელის ამ სა რო ჟამს, როკა გადასწყდება მი რამდენი ღელვა გამოსცადა საბ მაწვილმა ამ ერთ კვირაში! მე- ადინეობით და ღამე ძილის ტე ა ბავშების სიმრავლე მას არ და—იმან კარგად იცოდა, რომ ს მრავალი ახალგაზდობა აწყდე- კუთრებით ღარიბი ხალხის შვი- ვლა ყმაწვილს თავის მეტოქეთ რამდენსამე ას კაცში არ იქნე , რომ სასწავლებელში მიღების ედი მაინც არ ჰქონდეს, მაგრამ უცრუვდება იმედი? რამდენი კრალი, ატრემლებული თვალე ნ ბრუნდება? ვინ იცის, იმედ- ტილი ახალგაზდა რა გზას დაად დეგში, როდესაც დარწმუნდება, ნიერების ტაძარი მისთვის დახუ ერთი მუჭა უმცირესობა, რო ენერგიაცა და შეძლებაც ხელს , არ დაეცემა და მიაღწევს რო- ვის საწადელს. უმრავლესობა ლ-მოწყვეტილი და ქედ-მოხრილი სამუდამოდ და ცხოვრებაშიაც ული და შესაბრალისი იქნება. ყო მენი ათობით და ოცობით ისტუმ ონაირ ბედის მსხვერპლებს სას- ის კარებიდან. ზოგი შემდეგში ზოგი სულ თავს ანებებს, რა- ვლის არ შეუძლიათ მიზნის მი- ბოლომდის მედგარი ბრძოლა ს საქმე ჯერჯერობით კარგათ დღეს უკანასკნელი განკითხვის ელი დღე ილიკო ფიქრებში იყო გართული და კიდეც ვერ გაიგო, ისე შემოაღამდა. ჩაის დალევის შემდეგ ილიკოს სახლის პატრონმა ცალკე ოთახში გაუშალა საწოლი, მაგრამ ილიკოს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. ბუნებით მეოცნებე ყმაწვილი რას არ წარმოიდგენდა ამ ღამეს? წარმოუდგა ილიკოს, რომ „მასწავლებლების სხდომაზე“ ეხლა სწორედ იმაზე ლაპარაკობენ. მივიღოთ თუ არა—ეკითხებიან ერთმანეთს—ხედავენ იმის ნიშნებს—მერე ადარებენ სხვისას: ილიკოს კარგად აქვს დაჭერილი ეგზამენი, მაგრამ აი სხვას იმაზე უკეთესად დაუჭერია. რა ვუყოთ, წესი არის, უკეთესი მივიღოთ.—„მართალია, სწორედ მაგრე უნდა იყოს, თორემ სხვა შემთხვევაში რა მოხელეა ეგზამენი, უნდა უყაროთ კენჭი და ვისაც შეხვდება, სულ რომ არაფერი იცოდეს, მაინც უნდა მიიღოთ!“.. „ვაჰ ჩემი ბრალი! ფიქრობს ილიკო, სხვა ჩემზე უკეთესად დაიჭერდა ეგზამენს, მაშ რა იქნებოდა, როცა სხვამ რუსულიც კარგად იცის, ქალაქშიაც უცხოვრია, ფულიც ჰქონდა, რომ მასწავლებლისთვის მიეცა და დროც... და მე კი.. მე კი რა მქონდა. არც დრო მქონდა, არც ფული, არც რუსული ვიცი; ან კი საიდან მეცოდინება რუსული, როცა ჩემს დღეში რუსულად არ მილაპარაკია! რუსი ჩემზე უკეთესად დაიჭერს ეგზამენს, რა თქმა უნდა' რუსმა რუსული ხომ დაბადებიდანვე იცის, როგორც მე ვიცი ქართული. აბა ქართულად ყოფილიყო სწავლა, თუ მაჯობებდენ მაშინ. აი, გადაწყვიტეს, რომ ილიკო არ მიიღონ. ვაჰ რა ტყუილად ჩამიარა ამდენმა მეცადინობამ! მარტო სხვის საცინლად გდებას ვერ გადურჩები!“. . მაგრამ, აი წამოდგა ერთი ყმაწვილი მასწავლებელი, რომელიც რაღაცა მიზეზით ილიკოს იმ თავიდანვე კეთილ კაცად ეჩვენა, და მასწავლებელთა კრებულს მოახსენა: „მართალია, ბატონებო, ილიკო გულაძემ სხვასავით ვერ დაიჭირა ეგზამენი, მაგრამ არც ცუდად დაუჭერია; ის შესაძლებელია: ეს მესამედ მოსულა საწყალი ბავშვი და ეხლაც რომ არ მივიღოთ, მეტის მეტი საცოდავობა იქნება' გარდა ამისა, იმას ეტყობა, რომ საუკეთესო მოწაფე იქნება, თუ მივიღებთ, ესეც უნდა ვიქონიოთ, ბატონებო, მხედველობაში“. მასწავლებელთა კრებულში ერთი კამათი გახურდა და თითქმის ყველა მიემხრო ახალგაზდა მასწავლებლის აზრს. აი, აგერ ჩასწერეს ილიკოს სახელი და გვარი მიღებულ მოწაფეთა რიცხვში... გაუძახეს კიდეც, რომ გამოუცხადონ სახელმწიფო ხარჯზე მიღება... გაიგონა თუ არა ილიკომ თავის სახელი და გვარი, გადახტა და, ნიშნად მადლობისა, მოეხვია ახალგაზდა მასწავლევლს მუხლებზე .. მასწავლებელმა წამოაყენა ილიკო, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: „ნუ, გეშინიან, ილიკო, იმეცადინე და ღმერთი შენსკენ არის, ყველაფერი აგისრულდება'“...

ამ დროს გაისმა მამლის ყივილი, და გამოღვიძებული ილიკო თავის სიზმრის გამორკვევას შეუდგა, წამოჯდა საწოლზე, მიიხედ მოიხედა და შეხედა, რომ ალიონი დამდგარიყო! სარკმელიდან ცა მტრედისფრად მოსჩანდა და მასზედ მთვარისა და ვარსკვლავთ სხივები უკანასკნელად ციმციმებდენ.

— რა სიზმარი ვნახე, შენი ჭირიმე! შესძახა თავის თავს ილიკომ, „ამისთანა ჩემს დღეში არაფერი მინახავს! ის ახალგაზდა მასწავლებელიც კაი დროს არ დამეხმარა, თორემ კილამ არ დავილუპე? ტყუილად არ მქონებია იმისი იმედი, როგორც ღმერთის'.. ამისთანა სიზმარი სწორედ კარგად ახდება, სწორედ მიმიღებენ! ტყუილა კი არ წამოვედი დაიმედებული სახლიდან, მე ვიცოდი, რო მიმიღებდენ—სთქვა თავისთვის ილიკომ და მომავალ ცხოვრების გეგმაზე ფიქრს შეუდგა.

ამასობაში სრულიად გათენდა. ილიკო წამოხტა ზეზე, ხელპირი დაიბანა და სასწავლებლის ეზოში გავარდა იქ გაიგო რომ მიღებულების' გვარები კარებზე იქნება გამოკრულიო. ილიკომ ხელად მიირბინა დანიშნულ ადგილს, მაგრამ იქ მეეზოვის მეტი არავინ დაუხვდა, რომელმაც უთხრა, რომ ცხრა საათამდის არაფერი იქნებაო. ქაღალდი არ გამოაკრეს იმიტომ, რომ გაჯავრებული მიუღებლები სულ ერთიაც არ დააყენებენ აუგლეჯელსაო. ილიკო დაღონდა, რომ ასე გვიან მოუხდებოდა ცდა, დაბრუნდა თავის ბინაზე და ცხრა საათამდის ერთი ხუთჯერ კი მიირბინა..

იმავე დღეს, სხვათა შორის, გამოაცხადეს, რომ მიღებული არის სახელმწიფო ხარჯზე ილიკო გულაძეო. ილიკოს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, იმას აუხდა თავისი სიზმრები, მიაღწია იმას, რასაც ესწრაფებოდა,—ეძიეთ და იპოვით თქვენ! – სთქვა მაცხოვარმა; ილიკომაც ეძია და ჰპოვა და მთელი თავისი ძალღონით დაეწაფა სწავლის ტკბილ წყაროს, მაგრამ რამდენი იმისთანა „ილიკო“ დარჩა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეში სასოწარკვეთილი და ატირებული?!

სავლე ახვლაძე.

ლიანი სიმღერა, ქართველი დედის მწარე ამოძახილი. მას შემდეგ რაც, მას ძუძუზე მოსწყვიტეს პირმშო შვილი ცრემლში ნალევს ნანინად იქცა—და შეიქნა მასაზარდოებლათა და გამამხნევებლად ჩვენი დაშორებული ძმებისა. დღეს კი, როდესაც განახლდა ჩვენს შორის ის ძმური განწყობილება, ის ძლიერი შეგნება თავის თავისა, რომელიც გამოიხატება ჩვენ და ჩვენი ძმების ქართველი მაჰმადიანების დამოკიდებულებაში, გვიმტკიცებს ეროვნული შეგნება არ დამარცხებულა სავსებით, იმას რომ, ძ ძალა უნებურად გვაგონებს ჩვენი პირნახულის მკერდ განგმირულ შეუდარებელის ძლიერებით მოსილის ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“-ო.

დიახ, მომავალი ჩვენია, და ბრწყინვალე მომავალიც როცა შესძლებს ქართველი ერი ერთ მთლიანად გარდაქმნას, ერთ მთლიან ერთეულად შესისხლხორცებასა და შედუღებას.

იქვე იბეჭდება ოსმან ფალავას მიერ წაკითხული ლექსი შიოს დილაზე:

დ—ო.

მოგესალმები მგოსანო ქართველი მაჰმადიანი,
მწარე ცხოვრებით დასჯილი, ჩაგრული, გულსევდიანი,
შენ კარგად იცი, რომ ბედმა დაგვყარა თვალცრემლიანი,
გაგვიპარტახა სამშობლო—კოხტა ველ-მინდორ მთიანი,
ბევრს დაგვიდუპა სამშობლო და მოვსთქვამთ ძაძებიანი...
ნეტავი, როდის იქნება გვედარსის დღენი მზიანი!!!
ნუ გამკიცხავ და, აქამდე ვერ გცნობდი მე შავ-დღიანი,
ბავშთა მღერალი უთვალხარო, საამო, ტკბილი ხმიანი,
მაღალმა ღმერთმა გიკურთხოს კალამი ბასრი, ფხიანი,
გულს გვიჭიჭინე მრავალწელს გვასმინე ენა წყლიანი.
ნუ მიწყენ, აგერ გავზრდილვარ ამხელა ადამიანი,
ახლა გავიგე—ვყოფილვარ ქართველი მაჰმადიანი,
ბედნიერი ჩანს უფალმა ჩვენი გაცნობა გვაანა.

მისაბამი საქმე.

სამტრედიაში გადაიცვალა 80 წლის მღვდელი მამა იოსებ კანდელაკი, რომელმაც 100 მანეთი უანდერძა მის მრევლში უღარიბეს ოჯახებს შემწეობის აღმოსაჩენათ.

ნაანდერძევი თანხა, თანახმათ ანდერძისა, მისმა მემკვიდრეებმა ა. და ნ. იოსების ძე კანდელაკებმა უკვე გადასცეს კომისიას ა. რუხაძეს, გ. მესხს და ერთს მოძღვარს, გასანაწილებლათ აღნიშნულ ოჯახებზე კომისიამ უკვე გაანაწილა ფული და, როგორც გამოირკვა, 37 ოჯახს მისცა დახმარება. სარგი იქნება სხვებიც მიბაძავდეს მამა იოსების მაგალითს და ტყუილა უბრალო ხარჯებში გაფლანგვის მაგიერ, თავის წვლილს შეიტანდეს რაიმე საქველმოქმედო საქმის მოსახმარებლათ. მამა იოსები იყო პატიოსანი მოძღვარი და თავისი მრევლიც კმაყოფილი იყო თავისი მოძღვრისა.

მკვიდრი.

მუშათა შორის.

პუტილოვის ქარხანაში.

როგორც მკითხველმა იცის, პუტილოვის ქარხანა მთავრობის ხელში გადავიდა; მას ეხლა ახალი გამგეობა მართავს და მუშებიც ალბათ ახალი შედგენილობისაა. ახალმა გამგეობამ კითხვა აღძრა, რომ მოისპოს ინჟენრების და ოსტატი ხელოსნების ჯილდო, რომელიც მათ ამ ომიანობის დროს დაენიშნათ, რადგან ეს დიდ ხარჯს იწვევს. ამასთანავე აღძრულია კითხვა, რომ მუშათა ხელფასის ნორმა და ნამუშევარის შეფასება ხელახლა მოწესრიგდეს: ალბათ აქაც ხარჯების შემცირებას ეპირებიან. 14 მარტიდან ქარხნის მუშაობა გამაღლებული ტემპით სწარმოებს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. 29 მარტი ანდეშის რაიონში მტრის მძვერავი ძლიერი რაზმი გავდევნეთ არგონებში ნაგარაზეს სამხრეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრეებს საგრძნობი ზიანი მიაყენა. ჩვენ ენერგიულად უშენდით ავანკურის ტყის ნაწილს რომელიც მტერმა დაიკავა. მასის დასავლეთით ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. შუადღისას გერმანელებმა იერიში მოიტანეს ოკურზე და ბოტენკურზე მდინარე ფორჟის მიმართულებით, მაგრამ უკუ ვაგდეთ, ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა. მაღლობ აკვარზე მტრის იერიშები უშედეგოთ დამთავრდა. ვევერთან გაცხარებული ბრძოლაა. დანარჩენ ადგილებში დღემ წყნარად ჩაიარა ჩვენმა მფრინავებმა 26 მარტს მტრის ორი აპარატი ჩამოაგდო

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. 29 მარტი. სენჟორჟთან გერმანელებმა ბელგიის ერთი ხიდი აიღეს და იქ გამაგრდენ, მაგრამ საღამოთი ბელგიელებმა გერმანელები განდევნეს, მათ ბრძოლის ველზე დასტოვეს 9 მოკლული

მესოპოტამია

ლონდონში. სანაითის საწინააღმდეგო ოპერაცია არა სასურველად დამთავრდა, რომელსაც ხელი შეუშალა წყალდიდობამ.

საფრანგეთში ჩვენ დავიკავეთ თვალსაჩინო ბეგობი სენტლუა. შემდეგ იერიშებით მტერს რამდენიმე თხრილი წავართვით დღეს 29 მარტს დიდი ბრძოლა

ლონდონი. აქ ჩამოვიდენ საფრანგეთის პარლამენტის წევრები, მეფემ ისინი დიდის ამბით მიიღო.

საფრანგეთის ასპარეზი.

დღის ცნობა მაასის მარცხნივ ნაპირზე ტყე კორასთან მტერმა დიდი შემოტევა დაიწყო, მაგრამ უკუვაგდეთ. მათ დაიკავეს ჩვენი ერთი უმნიშვნელო თხრილი. ვევრთან და დუომონთან ცხარე ბრძოლაა ერთმა ჩვენმა მფრინავმა გერმანელების აეროპლანი ჩამოაგდო.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. სამიქაო. (სენ. მაზრა). ხსენებულ სოფელში სამი წელიწადია, რაც არსებობს წვრილი კრედიტის მომხმარებელი საზოგადოება მასწავლებელი ა გრიგოლ მექაძის მეცადინეობით, 6 მარტს მოხდა მღვ. ი ბოკერიას თავმჯდომარეობით მესამეჯერ დანიშნული წლიური კრება ხსენებულ მომხმარებელ საზოგადოების წარსული 1915 წლის ანგარიშებისა. გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა: წარსულ წელს ამხანაგობას ჰყოლია 304 წევრი და ამათი კრედიტი სახელმწიფო ბანკიდან არის 10500 მ. ამხანაგობის პასივი და აქტივი ასეთია:

პასივი.

დამხმარებელი თანხა	2500 მ.
მოკლე ვადიანი სესხი	8,000 მ
საკუთარი თანხა	243 მ. 54 კ.
სათადარიგო თანხა	112 მ 67 კ.
გარდამავალი თანხა	459 მ 4 კ.
წმინდა მოგება	377 მ. 61 კ
ჯამი	11,692 მ. 86 კ.

აქტივი:

გასესხებული	11,167 მ. 50 კ.
ქონება	258 მ. 55 კ.
კასაშია	266 მ. 81 კ.
ჯამი	11692 მ. 86 კ

კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიშები და ითხოვა კრედიტის გადიდება 20,000 მანეთამდე. წმინდა მოგება 377 მ. 61 კ. დაანაწილა შემდეგ ნაირად, გადაიდვა ძირითადი თანხის გასაძლიერებლად 151 მ 12 კ, სათადარიგო თანხისათვის 75 მ. 56 კ სამიქაოში უფასო წიგნ-სამკითხველოს (რომლის დასაარსებლად ნებართვა ნათხოვია ბ. გუბერნატორთან) ფონდის გასაძლიერებლად—50 მ. 93 კ. და ცხენის წლის დამბების გასაკეთებელი მასალის მოსახმარებლად 100 მ აგრეთვე კრებამ დაამტკიცა დაენიშნოს წლიურად: გამგეობის თავჯდომარეს და საქმის მწარმოებელს მასწ. გრ. მექაძეს 380 მ. ხაზინადარს ნ მექაძეს—84 მ მესამე წევრს გამგეობისა ჯანგველაძეს 84 მ. და საბჭოს სამი წევრს მღ. ი. ბოკერიას და დ მექაძეს თვითეულს 24 მ. და კანცელარიის ხარჯებისათვის 200 მ. დასასრულ კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობას ნაყოფიერი შრომისათვის და დაავალეს ისევ დარჩენ გამგეობის წევრებათ. როგორც ზევით აღვნიშნე, მასწ. მექაძეს მეცადინეობით არის ამ სოფელში წვრილი კრედიტის ამხანაგობა, მასთვე შრომით არსდება—კოოპერატიული—სავაჭრო სახლი სამიქაოში „სანათლე“ და ს. მაიდანში „განათლება“ (ნებართვა ნათხოვია ბ. გუბერნატორთან) და ასამდე წევრები უკვე ჰყავს შექნილი. ასეთ საზოგადო მოღვაწეს, როგორც არის მასწავ. გრ. მექაძე, უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და ხალხში ავრცელებენ სხვადასხვა ჭორებს დღესდღეობით ბ. მექაძე დიდი მადლობის ღირსია და იმედია არ მიაქცევს არავითარ მითქმა-მოთქმას ყურადღებას და განაგრძობს ენერგიულად მუშაობას თუ განიცდის მასთან ვინმეს რაიმე კერძო შური, ან ანგარიშება, აქვს, უნდა საქმით კერძოთ მასიკვესწორდეს და არა პირადი ინტერესებით საზოგადო კულტურულ დაწესებულების საქმე შეაფერხონ და უდანაშაულო ადამიანს საზოგადოების და მთავრობის თვალში ჩირქი მოსცხონ — 1914 წელს სამიქაოს წვრილი კრედ. მომხმარებელ საზოგადოებამ მოგებიდან გადადო მდინარე „ნოღელაზე“ ხიდის გასაკეთებლად 73 მ. 54 კ. რომელიც დღესაც კასაში ინახება. არა ერთხელ ყოფილა გაზეთების ფურცლებზე აღნიშნული, თუ რა ზარალს აყენებს მდ. ნოღელაზე ხიდის უქონლობა მთელ სამიქაოს საზოგადოებას (სამიქაოს საზოგადოება შვიდი სოფლისგან შესდგება) აგრეთვე ინტოფის საზოგადოებას. წყალდიდობის დროს სკოლის მოსწავლეს დ. აბაშაში, რამოდენიმე დღეობით და კვირობით დ. აბაშაში გააქვთ ამ სოფლელებს ყოველივე გასაყიდი, მასთან უახლოესი სადგური მათი აბაშა და აბაშასავე საპოლიციო უბანს ეკუთვნიან. დიახ როგორც სამიქაო და ინტოფოსათვის, ისე აბაშის მოვაჭრეები და მეეტლეებისათვისაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს მდ. ნოღელაზე ხიდის გაკეთება ამისათვის კარგს იზამდენ აბაშლები, ინტოფლები და სამიქაოელები, რომ გამოიღებდენ წვლილს, ამოირჩევდენ კომისიას და ქრთამნეთის დახმარებით ააგებდენ ხსენებულ მდინარეზე ხიდს იმედია აბაშის და ინტოფის წვრილი კრედიტის მომხმარებელი საზოგადოებები წაბაძვენ სამიქაოს მომხმარებელ საზოგადოებას და გადსდებენ იმავე საჭიროებისათვის ცოტა რამ, თანხას

მამა ცხენისწყლისპირელი

ზესტაფონი. კვირას, 13 მარტს, საღამოს 7 საათზე სამკითხველოში დანიშნული იყო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზ. ზესტაფონის განყოფილების წევრთა საზოგადო წლიური კრება. კრება, როგორც მეორედ გადადებული, კანონიერად იქმნა ცნობილი და შესდგა. თავჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა მღ. კ. ანთაძე, მდივნად ვ. მეტრეველი. თავმჯდომარის წინადადებით იქ დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივისცა განსვენებულის სათათბიროს ყოფილ წევრის და მწერლის პოლა ლომთათიძის ხსოვნას, შემდეგ დაიწყეს დღიური წესრიგის განხილვა. მოისმინეს და დაამტკიცეს 1915 წლის ანგარიში საზოგადოებასა, ამ მხრივ გამგეობის მოქმედებას ემჩნეოდა მუყაითობა, რომელიც გამოიხატება სათეატრო შენობისათვის გადადებულ ფონდის გაძლიერებაში. ამ ფრიად მნიშვნელოვან და აქაურებისათვის სადღეისო საკითხისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია აგრეთვე მაზრის უფროსს ბ ვასაძეს, რომლის თაოსნობითაც 1000 მ. შეკრებილა. ასე რომ დღეს დღეობით 2,500 მ. მოგროვილია სხვა და სხვა წყაროსაგან და პირსაგან დიდი კამათის შემდეგ საზოგადოებამ დაადგინა: აირჩიოს დროებითი კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად იზრუნებს შემოწირულების მოგროვების განგრძობას კომისიაში შედიან ბ. ვლ. ჩხეიძე, ვ. ურუშაძე და კაციაშვილისა; აირჩიეს იქვე დეპუტაცია მ ანთაძისა და კელენჯერიძისაგან მადლობის გამოსაცხადებლათ ბ. ვასაძესადმი ასეთის თანაგრძნობის გამჩენისათვის: დაავალეს გამგეობას ის ნაწილი თეატრის კედლისა რომელიც დაზიანებულია ძალზე და საიდანაც მოსალოდნელია რაიმე უბედურება ქვების გადმოცვენით, მოინგრეს რამდენიმე და მერმე შეკეთდეს. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1916 წლისა და სარევიზიო კომის მოხსენებაც განხილული იქნა და მიღებული. მხოლოდ უსაყვედურეს კომისიის ძრიელ მცირე მოხსენების, შედგენა და ერთ ნამცეცა ქაღალდზე დაწერა მისი.

იმსჯელეს საზოგადოების სამკითხველოების შესახებ, რომლებიც თუმცა განყოფილებას ექვემდებარებიან მაგრამ აგრე რიგად არ იწუხებენ თავს სამკითხველოების გამგეობაში ანგარიშების და საზოგადოთ მათ შესახებ დაწვრილებით მოხსენების წარდგენას, რისთვისაც გამგეობას ეთხოვა გაუწიონ სასტიკი კონტროლი მათ და შეძლებისადაგვარად, შემწეობაც აღმოუჩინონ ფულად ან ჟურნალ-გაზეთებით და სხ.

ზესტაფონის სამკითხველოს გამგე ქალს რუხაძისას; თანახმად გამგეობის წარმომადგენელის ანგარიშისა, მიეცა 1916 წლიდან, ნაცვლად 12 მ.—15 მ თვიურად და 30 მ. ჯილდოთ მუყაითი შრომის გაწევისათვის. დასასრულ გამგეობის სამი წევრი რომელთაც ვადა გაუვიდათ კვლავ იქნენ არჩეული ხოლო გამგეობიდან გასულ წევრების ნაცვლად აირჩიეს ბ. ბ. მეტრეველი და საყვარელიძე აგრეთვე ვადა გასულ სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ ბ. ბ. მ. გველესიანი და მ ჩუბინიძე.

ზესტაფონის და საზოგადოთ შორაპნის მაზრის მცხოვრებნი დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილი შაბიამნისა და სიმინდის ნაკლებობის გამო ჯერ კიდევ წარსულ 1915 წელ. ენკენისთვეში შესდგა კრება და ითამბირეს შაბიამნის [illegible] მოტანაზე, მაგრამ დღეს დღეობით უიმედოთ ვართ [illegible] დაც შაბიამანზე [illegible] ჩაუგდია ხელში და არავის ანებებს, იყვნენ სხვები, რომ მასავით ვერ რიაოდენ და ვერ გამონახეს საშუ მის მოსატანად აქამდი? მარტო ქაღ წერა ხმა მაღალი ლაღადისი და მი საქმეს ვერ შველის „სარწმუნოება ერ საქმისა მკვდარ არს“ მეტი უნარი, საქმიანობა, ბატონებო!..

სიმინდი... თქვენს მტერს! აქეთკენეტა სიმინდი არაა, იძახიან მოვაო, რამ როდის? „აცა ნუ მოკვდები ა დობა მოგივაო“, მისი არიყოს მოვაო. ახლა გვეკითხებიან რამდენი გპირიათო. უბედურება აბა ესაა!.. მშველელი არ გაჩნდა დაეიმშვეით.

ქ. გძელ

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

ს.|ს. ი. გოკიელის შვილებ
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თეს
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს.

აბრეშუმის თესლი.
უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სა მუშო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარი უკვე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართვე გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმარ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს მომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბა იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.
საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებ
92 მიერ **ბადიჟ კოსერი.**

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაპრავი საუ თეს
ქილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერი

საღი კუჭი
ჟელაგარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ვაზბობას, მომდის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ვაზბობა წაართმევს მთელ წვებს კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გამორთისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ვაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ვაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კაღავის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აწევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მაგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ვაზბობისაგან.
ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი.
პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.
ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. ჩაჩიბაიაშვილის** საავთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.
ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მიასარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.
9 (წლიური)

[illegible] სტამბა ალ. [illegible]ძისა — ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან,